



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY



საჯარო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირსა და
საქართველოში
(ტრენინგის მოდული)

ლევან მოსახლიშვილი

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

2021

@კავკასიის უნივერსიტეტი
@ავტორი

ტრენერი და ტრენინგის მოდულის ავტორი - ლევან მოსახლიშვილი

- სამართლის დოქტორი, ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტი.
- კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- აკრედიტაციის ექსპერტი.
- სხვადასხვა სექტორში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება.
- სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში.
- 2014 წლიდან საჯარო შესყიდვების ექსპერტი.
- მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საჯარო შესყიდვაში, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოების მიერ FIDIC-ის ტიპის ხელშეკრულებით განხორციელებულ საჯარო შესყიდვებში, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვანში რომლის წყალობითაც აშენდა საქართველოში პირველი ქარის ელექტროსადგური.

lemosakhlishvili@cu.edu.ge

სარჩევი

1. ტრენინგის მიზანი	2
2. ტრენინგის ამოცანები.....	2
3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი.....	2
4. ტრენინგის ხანგრძლივობა	3
5. სამიზნე ჯგუფი.....	3
6. ტრენინგის მასალები	3
7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოგისტიკური მხარე.....	3
8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა.....	4
9. ტრენინგის შინაარსი.....	4
9.1 საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის დინამიკა და ცვლილებების მიზანი	4
9.2. საქართველოს საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზოგიერთი ასპექტი და ძირითადი სიახლეები.....	6
10. წყაროები	9

1. ტრენინგის მიზანი

ტრენინგი ხორციელდება ევროკომისიის მიერ დაფინანსებული Erasmus+ პროგრამის Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ფარგლებში. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანია ტრენინგების ციკლის ორგანიზება კავკასიის უნივერსიტეტში სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის საჯარო შესყიდვების სფეროში, რათა ევროკავშირის სამართლის სწავლებით გავრცელდეს ევროკავშირის შესახებ სწორი ინფორმაცია, ამაღლდეს ცოდნის/განათლების დონე, მოხდეს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების პოპულარიზება, ხელი შეეწყოს ევროპული სწავლების განვითარება-გადლიერებას.

ტრენინგის “საჯარო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირისა და საქართველოში” მიზანია საჯარო შესყიდვების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან ეტაპობრივი დაახლოვების შესახებ ცოდნის შექმნა და გავრცელება.

2. ტრენინგის ამოცანები

ტრენინგის ამოცანებია:

- საჯარო შესყიდვების სფეროს აქტუალურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება;
- საქართველოს საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის სიახლეების განმარტება და შედარება ევროკავშირის საკანონმდებლო სტანდარტებთან.
- საჯარო შესყიდვების სფეროში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების აღწერა და მათი საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიმოხილვა.

3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი

ტრენინგის ფარგლებში განხორციელდება დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა, საქართველოს და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის დებულებების აღწერა და ინტერპრეტაცია; აგრეთვე, - კონკრეტული ქეისების წარდგენა აუდიტორიისათვის და მონაწილეთა ჩართულობით მათი შეფასება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონმდებლობის დაახლოვების საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ამასთან, საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების დაშვების საკითხებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე.

ტრენინგის ნაწილი შეეხება შესყიდვების სფეროში ევროკავშირისა და ქართული კანონმდებლობის შედარებას და იმ საკითხების გამოვლენას, სადაც აუცილებელია შემდგომი

აპროქსიმაცია და ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

ტრენერი გამოიყენებს პრეზენტაციის/აქტიური ლექციის, დისკუსიის და ჯგუფური მუშაობის მეთოდებს;

ტრენინგის მსვლელობისას უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ჩართულობა (რეპლიკების, კომენტარის, დასაზუსტებელი შეკითხვებისა და შეფასებითი მოსაზრებების წარმოდგენის სახით).

ტრენინგის მსვლელობისას, თითოეული სესიის დასრულებამდე 10-15 წუთი დაეთმობა დისკუსიას, კითხვებზე პასუხის გაცემას.

4. ტრენინგის ხანგრძლივობა

ტრენინგი ითვალისწინებს ერთდღიან მუშაობას. იგი იწყება 10.00 საათზე და სრულდება 18.00 საათზე; გათვალისწინებულია შესვენებები.

5. სამიზნე ჯგუფი

ტრენინგის სამიზნე ჯგუფია პროფესიული საზოგადოება, კერძოდ, საჯარო მოხელეები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (განსაკუთრებით სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები), დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი - იურისტები, ბიზნესის წარმომადგენლები და სხვა.

ტრენინგის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრი წინასწარ აცხადებს ინფორმაციას და აყალიბებს მონაწილეთა სიას.

ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 45 პირი.

ტრენინგი უფასოა.

6. ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალებია ტრენერის პრეზენტაციები, ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტის, მათ შორის ევროპული რეგულაციებისა და დირექტივების ჩამონათვალი და ლინკები, ასევე საინტერესო საგანმანათლებლო და პრაქტიკული რესურსების ლინკები.

7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოგისტიკური მხარე

უზრუნველყოფილი იქნება პრეზენტაციის ვიზუალიზაცია, კერძოდ, პრეზენტაციების ჩვენება ეკრანზე; დაფა და მარკერები; ინტერნეტთან წვდომა და მარტივი კომუნიკაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე; მონაწილეებისთვის დარიგდება ფურცლები და კალმები.

უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მონაწილის სახელისა და დასაქმების ადგილის დემონსტრირება (ფურცელი მაგიდაზე).

8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა

ტრენინგის გახსნის დროს, ტრენერი მონაწილეებს მოკლედ მოაწოდებს ინფორმაციას:

- *Jean Monnet Project-ის შესახებ;*
- *ტრენინგის მიზნებისა და ტრენინგის დღის წესრიგის შესახებ;*
- *ევროკავშირის გავლენაზე საჯარო შესყიდვების სფეროში სტანდარდების დამკვიდრება-ამაღლებაში;*
- *ტრენერის შესახებ.*

ტრენინგის თემატურ ნაწილზე გადასვლისას 40 წუთი დაეთმობა:

1. ევროკავშირის, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის დახასიათებას (20 წუთი)
2. ასოცირების შეთანხმების, როგორც განსაკუთრებული და უნიკალური საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დახასიათებას (20 წუთი)

9. ტრენინგის შინაარსი

9.1 საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის დინამიკა და ცვლილებების მიზანი

2005 წელს მიღებულ იქნა ამჟამინდელი კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა წლების განმავლობაში. საჯარო შესყიდვების კანონმდებლობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საკანონმდებლო ჩარჩო, უზრუნველყო უფრო მეტი გამჭვირვალობა, გამორიცხა დისკრიმინაცია, გაზარდა კონკურენცია და შემოიღო შესყიდვებთან დაკავშირებული რამდენიმე პროცედურა. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების მოსაგვარებლად 2011 წელს შემოღებულ იქნა დავების განხილვის მექანიზმი და პროცედურები.

საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ონლაინ წარმოების საშუალებას იძლევა. ქაღალდზე დაფუძნებული შესყიდვები სრულად იქნა აღმოფხვრილი და შესყიდვების ელექტრონული წარმოება გახდა სავალდებულო.

შემდგომ წლებში კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში შევიდა დამატებითი ცვლილებები. 2013 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები,

რომლითაც შემოღებულ იქნა კომპანიების თეთრი და შავი სიები და გაიზარდა შესყიდვითი პროცედურების რაოდენობა.

თუმცა მას შემდეგ რაც 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA) საქართველომ აიღო ვალდებულება რომ განახორციელებს ცვლილებებს საკუთარ კანონმდებლობაში 5 ფაზად, კერძოდ:

I ფაზა – 3 წელი ასოციირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის მარეგულირებელი ძირითადი სტანდარტების დანერგვა;

II ფაზა – 5 წელი ასოციირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – საჯარო შესყიდვის შესახებ დირექტივისა (2014/24/EU) და დავების განხილვის შესახებ დირექტივის (89/665/EEC) ძირითადი ელემენტების დანერგვა;

III ფაზა – 6 წელი ასოციირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის შესახებ დირექტივისა (2014/25/EU) და ამ სფეროსთან დაკავშირებით დავების განხილვის შესახებ დირექტივის ძირითადი ელემენტების დანერგვა;

IV ფაზა – 7 წელი ასოციირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – საჯარო შესყიდვის შესახებ დირექტივისა და დავების განხილვის შესახებ დირექტივის სხვა (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტების დანერგვა;

V ფაზა – 8 წელი ასოციირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის შესახებ დირექტივისა და ამ სფეროსთან დაკავშირებით დავების განხილვის შესახებ დირექტივის (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტების დანერგვა.

პირველი ფაზით ნაკისრი ვალდებულებები უკვე შესრულდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით (2017 წლის 6 აპრილის №617-II კანონი). რაც შეეხება მეორე ფაზას, იგი, ფაქტობრივად, მოიცავს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რისთვისაც მომზადებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც წარდგენილია საქართველოს პარლამენტში. წარდგენილი კანონპროექტი წინასწარ შეიცავს III-V ფაზებით ნაკისრ ვალდებულებებსაც, რადგან ისინი მნიშვნელოვნად უკავშირდება II ფაზას, რისთვისაც მიზანშეწონილია კანონპროექტის ერთიანი, მთლიანი სახით ჩამოყალიბება. ამასთან, ბუნებრივია, III- V ფაზებით ნაკისრი ვალდებულებების ამოქმედება გადავადებული იქნება შესაბამისი პერიოდით (როდესაც საქართველოს უკვე უნდა ჰქონდეს შესრულებული შესაბამისი ვალდებულებები).

შემოთავაზებული კანონპროექტით კარდინალურად იცვლება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის, ინერგება ბევრი ახალი ინსტიტუტი და თავად სფეროს დასახელებაც „საჯარო შესყიდვა“ განიცდის ცვლილებას (იმდენად, რამდენადაც „სახელმწიფო შესყიდვა“ არ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს და, შესაბამისად, არასწორია).

კანონპროექტის მიღების შედეგად სრულყოფილად შესრულდება DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებები საჯარო შესყიდვების სფეროში. ამასთან, მიღებული კანონპროექტი იქნება

ერთიანი და მასში მოქცეული იქნება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი საკითხი და დარგი, კერძოდ, სტანდარტული საჯარო შესყიდვები, საჯარო შესყიდვები კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში, საჯარო შესყიდვები თავდაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის წესი. ამდენად, მთლიანად სფერო თავმოყრილი იქნება ერთი საკანონმდებლო აქტის ქვეშ, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მის ეფექტიან დანერგვასა და აღსრულებას.

9.2. საქართველოს საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზოგიერთი ასპექტი და ძირითადი სიახლეები

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საჯარო შესყიდვებია. შეთანხმების თანახმად, საქართველომ ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. ამ მიზნით, დადგენილია დაახლოების 5 ფაზა. ამ ფაზების განხორციელება უნდა დასრულდეს 2022 წლის ჩათვლით. ამ ფაზებიდან ნაწილი უკვე შესრულებლია (მაგლითად, შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის მარეგულირებელი ძირითადი სტანდარტების დანერგვა) ხოლო ნაწილის შესრულება იგეგმება მომავალში. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის შესახებ დირექტივისა და ამ სფეროსთან დაკავშირებით დავების განხილვის შესახებ დირექტივის ძირითადი ელემენტების დანერგვა. ისევე როგორც საჯარო შესყიდვის შესახებ დირექტივისა და დავების განხილვის შესახებ დირექტივის სხვა (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტების იმპლემენტაცია.

ახალი რეგულაციების მიღების შემდგომ ერთ ნორმატიულ აქტში მოქცეული იქნება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი საკითხი და დარგი, კერძოდ, სტანდარტული საჯარო შესყიდვები, საჯარო შესყიდვები კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში, საჯარო შესყიდვები თავდაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის წესი. რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მის ეფექტიან დანერგვასა და აღსრულებას.

განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია სფეროს დასახელების ცვლილება. თუ აქამდე საჯარო შესყიდვების სფეროს ქართულ კანონმდებლობაში ერქვა „სახელმწიფო შესყიდვა“ იგი შეიცვლება „საჯარო შესყიდვის“ ცნებით. ვინაიდან ეს უფრო არსებითად გამოხატავს ცნების არსს. იმდენად, რამდენადაც „სახელმწიფო შესყიდვა“ არ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს და, შესაბამისად, არასწორია.¹ ასევე აუცილებელია სხვა ყველა ტერმინიც შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

¹ საქართველოს კანონპროექტი „საჯარო შესყიდვების შესახებ“ განმარტებითი ბარათი.

ახალი კანონმდებლობა საჯარო შესყიდვების სფეროში ერთმანეთისგან მიჯნავს საჯარო შესყიდვის მიზნებსა და პრინციპებს. რაც მოქმედ კანონმდებლობაში არ გვხვდება.

დირექტივების თანახმად, მნიშვნელოვანია დარეგულირდეს საჯარო შესყიდვების გამონაკლისები. ევროკავშირის დირექტივები თავადვე განსაზღვრავენ შემთხვევებს, რომელთა არსებობისას შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული საჯარო შესყიდვის წესები. სხვა გამონაკლისების არსებობა კი დაუშვებელია;

მნიშვნელოვანია ასევე, რომ საჯარო შესყიდვის სპეციალისტები დაექვემდებარონ სავალდებულო სერტიფიცირებას, რაც, ერთი მხრივ, საჯარო შესყიდვებში გაზრდის კვალიფიკაციის დონეს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს სერტიფიცირებული სპეციალისტების დასაქმებას.

დირექტივები გვთავაზობენ სატენდერო კომისების გარეშე შესყიდვების განხორციელების შესაძლებლობას, რაც გაამარტივებს საჯარო შესყიდვების პროცესს.

აუცილებელია ახლებურად იქნეს ჩამოყალიბებული საჯარო შესყიდვის დაგეგმვა, ისევე როგორც შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების, ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმებისა და საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმების აღწერის წესები, რომლებიც მთლიანად უნდა დაეფუძნოს დირექტივის დებულებებს; მონეტარული ზღვრებიც მთლიანად შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან.

ასევე უნდა განისაზღვროს კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების ოპერატორის შესყიდვის თავისებურებები.

ახალმა რეგულაციამ განსხვავებულად უნდა დაარეგულიროს დავების განხილვასთან დაკავშირებულ საკითხები. ვადა, რომლის განმავლობაშიც დაიშვება გასაჩივრება ევროკავშირის მონეტარულ ზღვარს ზევით; საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საჩივრის დაზუსტების ვადები; უნდა განისაზღვროს საჩივრის განხილვის ვადის გაზრდის შესაძლებლობა, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული. აღნიშნული გამომდინარეობს იმ საჭიროებიდან, რომ, განსხვავებით მოქმედი კანონისა, დირექტივების თანახმად, საბჭოში უნდა გასაჩივრდეს საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება/ქმედება (აღნიშნულს ემატება შესყიდვები კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში), რა შემთხვევაშიც ფიზიკურად შეუძლებელი იქნება საბჭოს ფუნქციონირება ამ შესაძლებლობის არსებობის გარეშე, მით უფრო, იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო გახდება დამატებითი მტკიცებულებების მოძიება (მაგალითად, ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება, რისთვისაც 10 სამუშაო დღის ვადა საკმარისი არ არის);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ახალი რეგულაციების მიღებამ უნდა უზრუნველყოს საჯარო შესყიდვებისთვის განკუთვნილი სახსრების ეფექტიანად, რაციონალურად,

გამჭვირვალედ და კანონის მოთხოვნათა დაცვით ხარჯვა. რათა უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო/საჯარო მოსამსახურებისა და საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული სხვა პირების კეთილსინდისიერი ქცევა და ანგარიშვალდებულება იმ მოთხოვნის დაწესებით, რომ ამ პირთა გადაწყვეტილებები და ქმედებები, მათი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ჩათვლით, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური, მატერიალური და პირადი ინტერესებისგან. ეს პირები არ უნდა არ უნდა იყოს მიკერძოებული.

ახალმა რეგულაციებმა ხელი უნდა შეუწყოს შემსყიდველ ორგანიზაციებსა და ეკონომიკურ ოპერატორებს შორის კეთილსინდისიერებაზე, პროფესიონალიზმსა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ინსტიტუციური გარემოს შექმნას.

ხოლო შესყიდვები უნდა ეფუძნებოდეს სახსრების ეფექტიან და რაციონალურ ხარჯვას; ღიაობასა და გამჭვირვალობას; თავისუფალ და ჯანსაღ კონკურენციას; არადისკრიმინაციულ და თანასწორ მოპყრობას; პროპორციულობას; საჯარო შესყიდვების განხორციელებისას საჯარო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებას.

ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA) შესრულებას და საქართველოს დაახლოებას ევროკავშირთან საჯარო შესყიდვების სფეროში.

აღნიშნულის გათვალისწინებით და ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობის ჭრილში საქართველოს კანონმდებლობის განხილვისთვის, ტრენინგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის შემუშავება-განვითარებაზე ევროკავშირის გავლენა;
- საჯარო შესყიდვის მიზნები და საჯარო შესყიდვის პრინციპები;
- კანონიდან გამონაკლი შესყიდვები.
- საჯარო შესყიდვის მონაწილეთა (შემსყიდველი ორგანიზაცია და ეკონომიკური ოპერატორი) უფლება-მოვალეობები და შეზღუდვები;
- საჯარო შესყიდვის პროცედურები;
- საჯარო შესყიდვის ინსტრუმენტები (რაც გულისხმობს დამატებით საშუალებებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია წარიმართოს საჯარო შესყიდვები) და აგრეგირებულ საჯარო შესყიდვებს (შესყიდვა ცენტრალიზებულად ან ერთობლივად).
- საჯარო შესყიდვის დაგეგმვა;
- საჯარო შესყიდვის გამოცხადებისა და შესყიდვის პირობების გამოქვეყნების წესები;
- დისკვალიფიკაციის საფუძვლები და წინადადებების განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხის დადგენა;
- შესყიდვის ხელშეკრულების/ჩარჩო შეთანხმების დადების, აგრეთვე მათში ცვლილების შეტანის წესები.
- ზოგიერთი შესყიდვის (კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში) შესყიდვების თავისებურებები.

- დავების განხილვასთან დაკავშირებულ საკითხები.
- ანგარიშგებისა და კონტროლის საკითხები.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხები საჯარო შესყიდვების სფეროში;

10. წყაროები

- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/23/EU კონცესიების გაცემის შესახებ
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32014L0023>
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 2004/18/EC
<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2014/24/oj>
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/25/EU წყალმომარაგების, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 2004/17/EC
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32014L0025>
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, მე-8 თავი. ხელმისაწვდომია:
<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელმისაწვდომია:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=78>
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება № 12 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3699020?publication=10>
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის ბრძანება №5 "სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2848374?publication=3>
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №7 “კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2850051?publication=9>
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ DCFTA-ს ვალდებულებების შესრულების ანგარიში
<http://eugeorgia.info/ka/article/715/saxelmwifo-shesyidvebis-saagentos-mier-dcfta-s-valdebulebebis-shesrulebis-angarishi/>